წ ე რ ი ლ ი

კონსტანტინოპოლის პატრიარქის კიპრიანესი, იერუსალიმის პატრიარქ ხრისანტ ნოტარასადმი, რომლითაც აცნობებს უნგროვლახეთის მიტროპოლიტის ტახტზე ანთიმოზის აღსაყდრების შესახებ - 1708 წლის 10 თებერვალი[1]

† კიპრიანე

წყალობათა კონსტანტინიპოლისა და ახლისა რომისა მთავარეპისკოპოსი

და მსოფლიო პატრიარქი

თქვენო უნეტარესობავ, ყოვლად უსამღვდელოესობავ და ყოვლად ბრძენო წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქო ხრისანტ, ჩვენი სიმდაბლის სულიწმიდისმიერო ძმაო და თანამწირველო, მოგესალმებით და ძმურად გეამბორებით და ვევედრებით ყოვლადძლიერ ღმერთს, რომ დაგიცვას ყოველგვარი მზაკვრობისაგან და გვიბოძოს კეთილი შეხვედრა.

მივიღეთ შენი მეგობრული და ძმური წერილი და განვიხარეთ შენი ჯანმრთელად ყოფნის გამო. ვწუხვართ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი მეუფე თეოდოსის გარდაცვალების გამო, დაე ღმერთმა განაწესოს ის წმინდა მღვდელმთავრებთან ერთად, ხოლო შენს უნეტარესობას უბოძოს მრავალჟამიერი და

ბედნიერი სიცოცხლე. მისმა ყოვლადბრწყინვალებამ და ღვთისმოშიშმა მთავარმა [კონსტანტინემ] უფრო ვრცლად მოგვწერა ჩვენ ცხონებული მეუფის გარდაცვალებისა და უნგრო-ვლახეთის ახალი მიტროპოლიტის არჩევის შესახებ.

მაშასადამე, ჩვენი საჭეთმპყრობელობის ქვეშ მყოფი ქრისტეს დიდებული ეკლესიის კანონების შესაბამისად აღვასრულეთ ყველა აუცილებელი წესი, მივეცით კურთხევა ჩვენს თანამოძმე ყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს და აღასრულეს ჩვენს საპატრიარქო ეკლესიასა შინა ყველა აუცილებელი კანონიკური წესი, რის შემდეგაც დავწერეთ გადაყვანისა და აღსაყდრების თაობაზე წერილები და გავუგზავნეთ ისინი ყოვლადბრწყინვალე მთავარს [კონსტანტინეს][2]; მაშასადამე, გატყობინებთ, რომ ველოდებით აქ თქვენს ჩამობრძანებას, როგორც წერთ თქვენ ამას თქვენს წერილში. და ღმერთმა ქნას დაგხვდეთ და გიხილოთ ჯანმრთელი და ერთად განვიხაროთ სულითა და ხორცით.

1708, 10 თებერვალი.

† ქრისტესმიერი კონსტანტინეპოლელი კიპრიანე[3].

კომენტარები:

---

[1] წერილი თარგმნილია კრებულიდან-კრებულიდან- ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 37-38; Scrisoriea patriarhului Ciprian al Constantinopolului către patriarhul Hrisant Notara al Ierusalimului, în care-l anunță de numirea lui Antim pe tronul mitropoliei Ungrovlahiei - 1708, 10 februarie” Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel,

Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014

[2] აქ იგულისხმება კონსტანტინეპოლის საპატრიარქო.
[3] როგორც ჩანს, გაგზავნილი იყო რამდენიმე წერილი ან წერილის ასლი, ჩვენამდე დღემდე მოღწეულია ერთადერთი ტექსტი. რომელიც დაცულია ხურმუზაკის კოლექციაში-Colecția Hurmuzaki-ეს კოლექცია ეკუთვნის 17-19 საუკუნეებში ბუკოვინაში მცხოვრებ ბერძნული წარმომავლობის ცნობილ რუმინელ დიდგვაროვანთა ოჯახს. მათი სასახლე მდებარეობდა ავსტრიის ბუკოვინაში მდებარეს ჩერნოვიცში (დღევანელი უკრაინის ტერიტორია). 1999 წელს სასახლე მუზეუმად გადაკეთდა. მუზეუმის უმდიდრესი კოლექციის საცავებში განთავსებულია არა ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ანთიმის ცნობილი მკვლევარი ნიკოლაი იორგას რედაქციით დაიბეჭდა მათი ნაწილი.